კიდევ ერთი მარცხი

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 7 ივლისი.

“ტორპედო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 1:0 (1:0).

“ტორპედო”: ბანიკოვი, ტუკმანოვი, ზაბინიაკი, ბუტურლაკინი, იურინი, კრასნოვი, ფეტისოვი, ნიკონოვი, ჟივოტიკოვი, დეგტიარევი, სმირნოვი.

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, მჭედლიშვილი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია (ჭელიძე), წერეთელი.

მსაჯი: ი. ბალიკინი (დნეპროპეტროვსკი).

დუბლიორები – 3:0 “ტორპედოს” სასარგებლოდ.

I წრის ბოლო მატჩს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისთვის. გამარჯვება როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს საშუალებას აძლევდა მტკიცედ მოეკიდა ფეხი წამყვან ჯგუფში და კარგი პერპექტივებით შესდგომოდა ჩემპიონატის მეორე ნახევარს. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ თამაში თავისი შინაარსით, ან სანახაობრივი თვალსაზრისით საინტერესო ყოფილიყო. მისი მეტი ნაწილი მიმდინარეობდა მინდვრის შუაგულში, გამწვავებებს ნაკლებად ჰქონდა ადგილი, არ ჩანდა ის კომბინაციური შეტევები და საერთო სილამაზე, რომელიც ტრადიციულად თან ახლავს ხოლმე ამ ორი გუნდის შეხვედრებს.

თბილისელებმა აშკარად სუსტად, კვლავ თავიანთ შესაძლებლობაზე გაცილებით დაბლა ითამაშეს. 90 წუთის მანძილზე მათ სულ ორჯერ თუ შეძლეს სახიფათო მომენტის შექმნა. “დინამოს” თავდამსხმელები სისტემატურად აგებდნენ ბრძოლას მოსკოველ მცველებთან, ვერც ნახევარდაცვის ხაზში გამოიჩინა ვინმემ თავი, ხოლო დაცვაში დაშვებული შეცდომები მოსკოველებს საშუალებას აძლევდა ეთამაშათ დიდი უპირატესობით, ინიციატივიანად.

გაოცებას იწვევს ის შეცვლა, რომელიც დინამოელთა რიგებში მოხდა მატჩის დასასრულს: მინდორი დატოვა გ. ნოდიამ, რომლის ნაცვლად გამოყვანილ იქნა ახლად გამოჯანმრთელებული ჭელიძე. რამდენადაც ვიცით, ამ ფეხბურთელს არასოდეს უთამაშია თავდასხმაში და, ცხადია, ახლაც უცხოდ გრძნობდა თავს ამ რგოლში.

ის აქტიურობა, რომელსაც თბილისელები იჩენდნენ დროდადრო, ფაქტიურად, არ გასცილებია მინდვრის შუაგულს, ვინაიდან სამივე ფორვარდი – გუცაევი, ნოდია და წერეთელი საიმედოდ ჰყავდათ ჩაკეტილი ტორპედოელებს.

გოლი, რომელმაც გადაწყვიტა თამაშის ბედი, ტორპედოელებმა გაიტანეს მე–5 წუთზე: კუთხური მოაწოდა სმირნოვმა, გოგიამ ვერ შეძლო ბურთის კარგად მოგერიება, იგი მოხვდა ძელს, დაუბრუნდა მინდორს და დეგტიარევმა წამით დაასწრო ძოძუაშვილს – 1:0. დარჩენილი 85 წუთის მანძილზე დინამოელებმა ვერაფერი გააწყვეს მეტოქესთან და კიდევ ერთხელ, უკვე მეექვსედ დატოვეს მინდორი დამარცხებულებმა.

“ლელო”, 10 ივლისი, 1973 წ.